

სახელი _____

გვარი _____

სკოლა _____

სასწავლო წელი _____

1 ამბები სკოლიდან

ყოჩალი ბიჭი

1. რა რას შეიძლება შევადაროთ? დააკვირდი მაგალითს – ილიმება დედა, როგორც გაზაფხული.

შეაერთე ხაზებით:

მაიკო ნაზია	როგორც ლომი
ჩემი ნაგაზი ძლიერია	როგორც მზის სხივი
დედის ალერსი თბილია	როგორც პატარა ია

2. ჩასვი ხმოვნები და შეადგინე სიტყვები:

თ	ს	ხ	ლ	ტ	რ	ლ
---	---	---	---	---	---	---

ჩასვი თანხმოვნები და შეადგინე სიტყვები:

ა	ა	ი	ე	ი	ა
---	---	---	---	---	---

3. გამოწერე ასოები და გადაწერე წინადადება:

ღ ღ

ღ ღ

ხ ხ

კახვი შვილი ღერის გურის
ვახდიაო.

4. დავადგინოთ ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა:

სიტყვა	ჩემი განმარტება	სიტყვის მნიშვნელობა ტექსტის მიხედვით
ჩაწიკწიკებული		
ჩაჭიკჭიკებული		
ჩაბულბულებული		

ყურადღებით წაიკითხე ქვემოთ მოცემული სიტყვათა განმარტებები და ჩასვი შესაბამისი სიტყვის გასწვრივ:

წვრილი ასოებით, მჭიდროდ და ლამაზად ნაწერი.
 ბულბულივით ტკბილად ნამდერი.
 გამართულად, კარგად წაკითხული.

სიტყვა	განმარტება ლექსიკონში
ჩაწიკწიკებული	
ჩაჭიკჭიკებული	
ჩაბულბულებული	

ნუციკო

1. რა ვისი ან რისია? შეაერთე ხაზებით:

ქუდი	კენგურუსი
სავარცხელი	მონადირის
ჩანთა	სოკოსი
თოფი	ოფოფის

2. სასწავლო ნივთებს ქვეშ ხაზი გაუსვი:

სავარცხელი, რვეული, კალამი, ქამარი, სახაზავი, ფანქარი, წინდა, ბორბალი, წიგნი, ველოსიპედი, საშლელი.

3. მოცემული სიტყვებით შეადგინე წინადადებები:

ცარცი	წერს	დაფა	მასწავლებელი
წერილი	ნინო	ბებია	მისწერა

პინოქიოს თავგადასავალი

1. როგორია პინოქიო? გაუსვი ხაზი შესაფერის სიტყვებს:

უნებისყოფო, შრომისმოყვარე, მზრუნველი, ყალთაბანდი, სულელი, ზარმაცი, გონიერი.

2. თითოეულ წინადადებას შეურჩიე შესაბამისი გაგრძელება და ჩასვი თავის ადგილას. ტექსტში ჩასასმელად გამოიყენე შემდეგი წინადადებები:

- . . . ანბანი გაყიდა და სკოლაში აღარ წავიდა.
- . . . სულ დაავიწყდა მამილო ჯეპეტო.

ხის კაცუნა ცუღღუტი აღმო-
ჩნდა, ხაღვან

პინოქიომ ახ იცის სხვისი ამა-
გის დაფასება, ხაღვან

2 ფასეულობები – წიგნში ნაპოვნი სიბრძნე

ლომი და თაგვი

1. გაიხსენე „ლომი და თაგვი“. შემოხაზე, რომელი ანდაზა შეეფერება ამ მოთხრობას:

1. მეგობრობაში დიდპატარაობა არ არის.
2. ხარი ხართან რომ დააბა, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო.

2. მოუძებნე ჩამოთვლილ სიტყვებს მსგავსი შინაარსის სიტყვები. შეაერთე ხაზებით:

მეფე	ლონიერი
ძლიერი	განსაცდელი
დაიჭირა	ხელმწიფე
გაჭირვება	შეიპყრო

3. შეურჩიე თითოეულ წინადადებას შესაბამისი სიტყვა – გადაუხადა ან მოუხადა და ისე გადაწერე:

– ბოდიში, ვწუხვარ, წიგნი დავკარგე, – ბოდიში . . . გიორგიმ მანანას.

– გმადლობთ, კაბა ძალიან მომეწონა, – მადლობა . . . ლიამ ბებიას.

4. დალაგე ილუსტრაციები შინაარსის თანმიმდევრობით, თითოეულ ნახატს მიუწერე რიგითი ნომერი და ზეპირად გადმოეცი ამბავი.



5. წაიკითხე ტექსტი, დააკვირდი სად მთავრდება წინადადება და დასვი წერტილი:

გათენდა ჩიტებმა ჭიკჭიკი დაიწყეს დაჩიმ გაიღვიძა კვირა დღეა კარგი ამინდია დაჩი დღეს ისვენებს, სკოლაში არ ეჩქარება დაჩი ცირკში მიდის

იას ცირკი არ უყვარს ია შინ რჩება მასთან დღეს სტუმრები მოვლენ ია მეგობრებს ელოდება

სირცხვილი აიცილა

1. მოუძებნე მოცემულ სიტყვებს საპირისპირო სიტყვები. შეაერთე ხაზებით:

ემწელებოდა
დამშვიდებული
ტკბილად
მწიფე
წუხს

აფორიაქებული
მწარედ
ეადვილებოდა
უხარია
მკვახე

2. დალაგე შინაარსის თანმიმდევრობით. მიუწერე შესაბამისი ნომრები:

- ნინოს წამალი არ მოეწონა, მაგრამ მაინც დალია.
- პატარა ნინო ავად გახდა.
- ნინოს წამალმა უშველა და მალე გამოჯანმრთელდა.
- ექიმმა მას მწარე წამალი გამოუწერა.

3. დაფიქრდი, რომელ სიტყვას შეესაბამება მალალი და რომელს – გრძელი. თითოეულ სიტყვას წინ მიუწერე შესაბამისი სიტყვა, მაგალითად: მალალი ბიჭი; გრძელი ჯოხი.

სე

ძთა

კაბა

თძა

გზა

სახლი

სამი ბიჭი

1. რომელმა რა თქვა? შეაერთე ხაზებით:

ვახტანგმა

ურიკაზე მე ვიჭექი.

რეზომ

ნალესი მე ჩამოვანგრიე.

გურამმა

ურიკა მე გავაკეთე.

2. დააკვირდი მაგალითს: რეზო ურიკაზე იჯდა. ბიჭები ურიკაზე ისხდნენ (იჯდა – ისხდნენ). მაგალითის გათვალისწინებით დაასახელე რომელი სიტყვა უნდა იყოს გამოტოვებულ ადგილას:

- ნანუკა საქანელაზე იჯდა. გოგოები საქანელაზე ...
- მამა მანქანაში ... მშობლები მანქანაში ჩასხდნენ.
- ნიკა, დაჭექი! ბავშვებო, ...

3. თითოეულ სიტყვას მიუწერე მრავლობითი. მაგალითად:
ბიჭი – ბიჭები.

უჩიკა

მეგობახი

მეზობერი

კუდი

სახლი

ქუჩა

მსოფლიოს ჩემპიონი

1. შინაარსის თანმიმდევრობით დაალაგე წინადადებები. ჩასვი უჯრებში შესაბამისი ნომრები:

- შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონთან.
- ქეთინო სახლში დატოვეს.
- გურამი და გიგი სასეირნოდ წავიდნენ.
- გიგის სინდისი ქენჯნის.

2. რა რას ნიშნავს? შეაერთე ხაზებით:

დავტუქსავ
ახოვანი
მოწიწებით

წარმოსადეგი და მაღალი
მორიდებით, მოკრძალებით
გავუჯავრდები

3. სამი წინადადებით გადმოეცი მოკლე შინაარსი.

გამოიყენე სიტყვები – ჩემპიონატი, კლასელები, ფრე:

გუშინ სასკოლო ჩემპიონატის მატჩი ჩატარდა. ყველამ სტადიონზე მოიყარა თავი. მე ძალიან ვნერვიულობდი. ჩემი კლასელები თამაშობდნენ. ბიჭები თავს არ ზოგავდნენ. მატჩი ფრედ დამთავრდა.

4. დავადგინოთ ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა:

სიტყვა	ჩემი განმარტება	სიტყვის მნიშვნელობა ტექსტის მიხედვით
ნაზუქი		
კვერი		
წამსვე		

როგორ არის განმარტებული ეს სიტყვები „სიტყვის სკივრში“?

5. მოუძებნე სიტყვებს მსგავსი სიტყვები და გამონათქვამი, შეაერთე ხაზებით:

რა ექნა	ზანღუკი
სკივრი	მაშინვე
წამსვე	მადლობას გადავუხდი
უცხო	რა ეღონა
მადლობას ვეტყვი	უცნაური

მოუძებნე სიტყვებს საპირისპირო სიტყვები და შეაერთე ხაზებით:

დაავიწყდა	მძიმედ
მსუბუქად	ყველგან
წასულიყო	გაიხსენა
ადარსად	მოსულიყო

ზღაპრული სკივრი

1. გადახაზე სიტყვები, რომლებიც არ შეიძლება წიგნს დავუკავშიროთ:

ყდა, ნახატი, სარჩევი, თავი, სახაზავი, ფურცელი, სათაური, ჭიკარტი.

2. რა რისი ნაწილია? შეაერთე ხაზებით:

ყუნწი	ფანქრის
წვერი	ბლის
საფეხური	კაბის
ყდა	კიბის
კალთა	წიგნის

3. სახელმძღვანელოს სარჩევში მოძებნე და ამოწერე, ვინ არიან შენ მიერ შესწავლილი ლექსების ავტორები: „ყოჩაღი ბიჭი“, „ნუციკო“, ჩაწერე სრული წინადადება, მაგალითად: „ნუციკოს“ ავტორი არის...

4. ყურადღებით წაიკითხე ლექსი, კითხვითი წინადადებების შემდეგ დასვი შესაბამისი ნიშანი:

– ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ,
ვის უგალობ, ვისა
– შენ გიგალობ, პატარავ, –
დილა მშვიდობისა!

– მზეო, მზეო, ცხრათვალა,
ვის უცინი, ვისა
– შენ გიცინი, პატარავ,
დილა მშვიდობისა!

– პაწაწინა ყვავილო,
რად გაშალე კვირტი
– შენთვის მინდა, პატარავ,
აბა დამაკვირდი!

5. დაასრულე წინადადებები:


ჩემი საყვარელი პერსონაჟია _____

ჩემი საყვარელი ზღაპარია _____

მე წავიკითხე _____

ეკამ წერილი მიიღო

1. დააწერე კონვერტს შენი მისამართი:

	ქვეყანა _____
	ქალაქი, დაბა, სოფელი _____
	სახლის მისამართი _____
	გვარი, სახელი _____

2. სწორად დაწერილ სიტყვებს ქვეშ ხაზი გაუსვი:
გულთბილი, ქვია, სახლ-კარი, გულ თბილი, ჰქვია,
გულის ფანცქალი, სახლკარი.

3. ქვემოთ ჩამოწერილი სიტყვები აქციე ორ-ორ სიტყვად:
მაგალითად: დედ-მამა დედა და მამა

ტყე-ვეღი

ყერ-ყუხი

ცხვიხ-პიხი

სახრ-კახი

უცნაური მგზავრი

1. ქვეშ ხაზი გაუსვი სიტყვებს, რომლებშიც სამი ხმოვანია:

კარი, კიღობანი, მაწონი, კუთხე,
კალამი, ცხენი, მინდორი, იატაკი.

2. გაიხსენე, რა რას ნიშნავს. შეაერთე ხაზებით:

იალქიალი	ბოლო, კიდე, დასასრული
ვოლიერი	ვრცელი, ფართო
დასალიერი	დიდი გალია
უკიდევანო	მოწაფე
შეგირდი	ცაზე თეთრი ფუმფულა ღრუბლები

3. გაეცი კითხვებს ჯერ სრული, შემდეგ უსრული პასუხები:

ხა ჰქვია მერიის ნაშიქს?

ხამდენი თვეა სკოლაში?

5. მიუწერე სიტყვებს საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები:

ჩვეულებრივი	
მსუბუქი	
დავტოვებ	
დაავიწყდა	

6. რომელი სიტყვა რას ნიშნავს? შეაერთე ხაზებით:

საგზალი	ვინც გზას ადგას და სადღაც მიდის.
მოგზაური	ვინც უცხო ადგილების სანახავად მიდის.
მგზავრი	გზაში საჭმელად წასაღები სურსათი.

7. იპოვე და შემოხაზე მოცემული სიტყვების საერთო ნაწილი:

მ გ ზ ა ვ რ ი , მ ო გ ზ ა უ რ ი , ს ა გ ზ ა ლ ი , თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი .

ხვთისო

1. რა რისი ნაშეირია? შეაერთე ხაზებით:

ზაქი	აქლემის
ხბო	კამეჩის
კოზაკი	ძროხის
კნუტი	ძაღლის
თიკანი	კატის
ლეკვი	თხის

2. როგორია ფისო? გადახაზე ზედმეტი სიტყვა:

პაწაწინა, თვალეზინაბული, ანჩხლი, ფუმფულა.

3. ჩამოწერე სამი სულიერი და სამი უსულო საგანი

როგორ იყიდა ულემ ელვა

1. გადახაზე ზედმეტი სიტყვა:

ძალდი კატა კამეჩი ჯიხვი ცხვარი

2. რომელი პერსონაჟი როგორია? შეაერთე ხაზებით:

ზარმაცი

თბილი

ერთგული

მატყუარა

ხარაზი

ულე

უხეში

უპირო

მზრუნველი

მშრომელი

3. შეურჩიე თითოეულ წინადადებას შესაბამისი სიტყვა – თავისი ან თავიანთი და ისე გადაწერე:

ნიკამ ბურთი თამაზს ათხოვა.

ბიჭებმა წიგნები სკოლაში დატოვეს.

4. დავადგინოთ ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა:

სიტყვა	ჩემი განმარტება	სიტყვის მნიშვნელობა ტექსტის მიხედვით
ხარაზი		
უპირო		
ხუხულა		

როგორ არის განმარტებული ეს სიტყვები „სიტყვის სკივრში“?

5. კიდევ ერთხელ გაიხსენე რუბრიკაში „დააკვირდი სიტყვას“ მოცემული სიტყვები, ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და ქვეშ ხაზი გაუსვი შეცდომით დაწერილ სიტყვებს:

ელვა თვალს რომ მოკრავდა ხარაზს, ღრენა ყეფით გაექანდებოდა მისკენ.

ულე შორი ახლოს იდგა და სიამოვნებით შეჰყურებდა, როგორ ღრღნიდა ელვა ძვალს.

ეს ძალი სულ რატომ ყეფავს?! – უკვირდა ულეს.

ელვას მობეზრებოდა, სულ ჯაჭვით რომ იყო დაბმული.

ულე რამდენიმე დღე თავგზა აბნეული დადიოდა.

ჩამოწერე სწორი ფორმები.

4. ვსწავლობთ სურათის აღწერას:



აღწერის მოკლე და გავრცობილი ვერსია:

გეგმის მიხედვით დაწერილი მოკლე ვარიანტი	გავრცობილი ვარიანტი
	ქვეშ ხაზი გაუსვი იმ სიტყვებს, რომლებსაც ამბის გასავრცობად გამოიყენებ თბრობისას.
<p>სურათზე ჩანან ბავშვები. ბავშვები ბაღში არიან. გაზაფხულია. კარგი ამინდია.</p> <p>მარცხენა მხარეს გამოსახული გოგონა მიწას აფხვიერებს. მარჯვენა მხარეს დახატული გოგონა ყვავილის ნერგებს რგავს. გოგონების უკან ბიჭი თოხნის.</p>	<p>სურათზე ჩანან საქმიანი და მომღიმარი ბავშვები. ისინი პატარა, ლამაზ ბაღში არიან. გაზაფხულია. კარგი ამინდია.</p> <p>მარცხენა მხარეს ვარდისფერქუდიანი და ლურჯშარვლიანი გოგონა მიწას თოხით აფხვიერებს. მარჯვენა მხარეს ჩაცუცქული ქერათმიანი გოგონა ყვავილის ნერგებს ფრთხილად რგავს. მის გვერდით ყვითელი წყლიანი ვედროა. გოგონების უკან პატარა ლურჯკეპიანი ბიჭი მონდომებით თოხნის მიწას.</p>
<p>სურათის წინ ჩანს ყვავილები. უკან ჩანს ხეები და სახლი, სახლის უკან კი – ცა და მაღალი ხეები.</p>	<p>წინ ჩანს თეთრი, ყვითელგულიანი და სტაფილოსფერი ყვავილები. უკან თეთრად აყვავებული ხეებია. ხეებს შორის დგას ხის ლამაზი სახლი. სახლის უკან ვხედავთ ლურჯ ცას და მაღალ, ამწვანებულ ხეებს.</p>

პატარა კალათა

1. დააღაგე მოცემული წინადადებები შინაარსის თანმიმდევრობით, მიუწერე შესაბამისი ნომრები:

- კიკნა ბიჭმა კალათა სკოლაში წაიღო.
- ბავშვებს სპექტაკლისათვის პატარა კალათა დასჭირდათ.
- კიკნამ ლამაზი პატარა კალათა მოწნა.
- კიკნა სოფიკოს კალათის მოწვნას დაჰპირდა.

2. ქვეშ ხაზი გაუსვი სიტყვებს, რომლებსაც დაესმის კითხვა როგორი:

გოგონას წითელი ქუდი ეხურა და ხელში პატარა კალათა ეჭირა.
კალათაში ტკბილი ორცხობილები ეწყო.

3. დაწერე ეპიზოდი: მალე სკოლა გამოჩნდა.

Lined writing area for the student's response.

5. კიდევ ერთხელ გაიხსენე რუბრიკაში „დააკვირდი სიტყვას“ მოცემული სიტყვები. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და ქვეშ ხაზი გაუსვი შეცდომით დაწერილ სიტყვებს:

წითელ ქუდა კნაჭა მაშიკოა.


კიკნა კალათის წნას შეუდგა.

ერთი კალათა დაბრეცილი გამოუვიდა, მეორე – უშნოდ პირ დაფჩენილი.

საავდრო ღრუბელი სირცხვილ-ნაჭამი სადღაც გადაიკარგა.

ჩამოწერე სწორი ფორმები.

6. აირჩიე ორი სიტყვა „სიტყვის სკივრიდან“ და შეავსე სიტყვის პირამიდა



მზექალა და თინა

1. მოუძებნე ამ სიტყვებს მსგავსი შინაარსის სიტყვები. შეაერთე ხაზებით:

პაწაწკინტელა	თოვდა
შეატყობინა	ნამცეცა
ბარდნიდა	მშვენიერი
ლამაზი	გააგებინა

2. ქვეშ ხაზი გაუსვი საკუთარ სახელებს:

ნინიკოს მეზობლად ტყუპი დები, მარია და მართა, ცხოვრობენ. მათ ერთი პატარა ძმა ჰყავთ. მას გურამი ჰქვია. გოგოები ხშირად ასეირნებენ გურამს ეზოში. გურამს უყვარს ნინოს ძამიკო უჩასთან თამაში.

3. უპასუხე შეკითხვას: რა შეატყობინა თინამ ავადმყოფ მზექალას და რა ურჩია მას?

4. შეავსე პერსონაჟთა შედარების ცხრილი.
შეადარე ერთმანეთს კიკნა ბიჭი და თინა.

უპასუხე შეკითხვებს:	
1. როგორ იქცევიან პერსონაჟები (თინა და კიკნა ბიჭი)	
2. რა არის მათი მიზანი?	
3. რას განიცდიან ისინი?	
თინა	კიკნა ბიჭი
1.	1.
2.	2.
3.	3.
4. რა საერთო თვისება აქვთ ამ პერსონაჟებს?	
5. რა განსხვავებული თვისება აქვთ მათ?	

ჭიანჭველა და ფუტკარი

1. რომელ სულდგმულს რა ჰქვია? შეაერთე ხაზებით:

ფუტკარს
შოშიას
ლომს
ძროხას

ნადირი
მწერი
საქონელი
ფრინველი

2. რა რას შეეფერება? შეაერთე ხაზებით:

ფუტკარივით
ჭიანჭველასავით
ჭრიჭინასავით

ძლიერი
მხიარული
მშრომელი

3. დაწერე მოკლე შინაარსი.

გამოიყენე სიტყვები – რთველი, დაწურეს, ლხინი:

გუშინ პაპა სანდროს რთველი ჰქონდა. ყველანი ვენახში წავიდნენ და საქმეს შეუდგნენ. გოდრები მანქანებით მარანში მიჰქონდათ და ყურძენს საწნახელში ყრიდნენ. სადამოს ყურძენი დაწურეს. ყველა წლევანდელ მოსავალს აქებდა. ბოლოს კი დიდი ლხინი გაიმართა.

დეკემბერი

1. გადახაზე, რომელია ზედმეტი:

იანვარი თებერვალი მარტი დეკემბერი

2. ჩასვი შესაბამისი სიტყვები: მე შენ ის

_____ დავუთმობ _____ დავუთმობ _____ დავუთმობს

_____ ამბობ _____ ვამბობ _____ ამბობს

_____ თამაშობს _____ თამაშობ _____ ვთამაშობ

3. მოცემული სიტყვებისგან შეადგინე წინადადებები:

- არის დეკემბერი ზამთარი პირველი თვე
- ვჩუქნით ახალი წელი ერთმანეთი საჩუქარი
- ბავშვები ძალიან ზამთარი უყვართ

საახალწლო ლექსიკონი

1. გადახაზე, რომელი სიტყვები არ უნდა იყოს საახალწლო ლექსიკონში:

ჩიჩილაკი, შუმხუნა, ნაძვის ხე, თოვლის პაპა, სათიბი, მეკვლე, რთველი, ხვნი, ენძელა.

2. ქვეშ ხაზი გაუსვი მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს:

ბავშვები ნაძვის ხეს რთავენ. ელიზბარი თოვლის პაპას აკეთებს. გიო ყველაზე მეტს ხმაურობს. ტასომ თეთრი ფიფქები შეაყარა ნაძვის ხეს.

3. წარმოიდგინე, რომ თოვლის პაპა გააკეთე. აღწერე, როგორია იგი: რისი ცხვირი აქვს, რისი ხელები, რა ახურავს და ა.შ.

A large blue-bordered box containing horizontal blue lines for writing, intended for the student to describe the character of Santa Claus.

4. დაწერე საახალწლო ამბავი. გამოიყენე ამბის თხრობის რუკა

რა მოხდება შენი ამბის დასაწყისში?	რა მოხდება შენი ამბის შუა ნაწილში?	რით დასრულდება შენი ამბავი?
სად და როდის ხდება მოქმედება? ახალი წლის დილაა თუ საღამო? ოჯახში ხდება მოქმედება თუ ქალაქის საახალწლო ზეიმზე?	როგორ გაგრძელდა ამბავი? ბავშვები თოვლის ბაბუას ელოდებიან? ხომ არ აირია საჩუქრები? ხომ არ დააგვიანდა მეკვლეს? გზა ხომ არ აერია თოვლის ბაბუას?	რით გადაიჭრა პრობლემა, გაირკვა სიტუაცია? როგორ შევქმნა ბედნიერი დასასრული?
ვინ იქნებიან შენი ამბის პერსონაჟები?		

4. მაორგანიზებელ რუკაში ჩაწერე შენი იდეები:

„ერთხელ...“	„ამის შემდეგ...“	„ბოლოს...“

მრავალ ახალ წელს

1. გაიხსენე ლექსი. რა როგორია? შეაერთე ხაზებით:

ვაზებიანი	ცა
მტვენიანი	ქვეყანა
მშვენიერი	ველი
ვრცელი	გზა

2. ქვეშ ხაზი გაუსვი ფრაზებს, რომლებსაც ახალ წელს ამბობენ:

ჭეშმარიტად; მრავალს დაესწარი; ასე ტკბილად დამიბერდი.


3. ჩამონათვლიდან შეარჩიე სიტყვები – პრიალებს, ბრიალებს, ბრჭყვიალებს – ჩასვი შესაბამის წინადადებებში და გადაწერე:

მზე ცეცხლის ბურთივით

დარბაზის იატაკი სარკესავით

ნაძვის ხის სათამაშოები ნაირფერად.

4. მოცემული სიტყვები – ოჯახი, მე, მსოფლიო, სამშობლო – დაალაგე თანმიმდევრობით და ჩაწერე მოცემულ ჯაჭვში:



5. მოცემული სქემის დახმარებით დაწერეთ როგორია სინიორ ბიანკი.


როგორც მამა	
----------------	--

როგორც თანამშრომელი	
------------------------	--


როგორც ხელოვანი	
--------------------	--

როგორც ადამიანი	
--------------------	--

4. დააკვირდი ამკრძალავ აბრებს, რომელი რაზე მიგვანიშნებს და რომელი მათგანი შეიძლება შეგხვდეთ ზოოპარკში.




5. დავადგინოთ პატარა მაიმუნების მოგზაურობის მარშრუტი.



პირველად რა ნახეს სამოგზაუროდ წასულმა მაიმუნებმა?
რა ფერის ისარს უნდა გაჰყვეთ, რომ იგივე გზა გაიაროთ?
მოგზაურობიდან დაბრუნებისას ჯერ რა ნახეს მაიმუნებმა და მერე – რა?
რომელი ფერის ისარს უნდა გაჰყვეთ იმავე გზის გასავლელად?
რა დაასკვნით, სად მოძრაობდნენ მაიმუნები?

მოდული რიცხვებით ვითამაშოთ

1. მოუძებნე სიტყვებს საერთო დაბოლოება:



2. ერთნაირი დაბოლოების მქონე სიტყვებს ქვეშ ხაზი გაუსვი:

ხავერდივით მწვანე ბალახს
აბიბინებს სიო ნაზად,
თითქოს უნდა დაეფინოს
იმ ყვავილებს ფიანდაზად.

3. ვიანგარიშოთ თამაშით.

მათემატიკიდან გაიხსენე ათეულები და ერთეულები. დააკვირდი პირველ მაგალითს და ამოხსენი მეორე:

სამჯერ ოთხი თორმეტი – ათია და ორ მეტი;
ოთხჯერ ოთხი თექვს მეტი –

ხუთჯერ ხუთი ოცდახუთი – ოცია და ერთი ხუთი;
ცხრაჯერ სამი ოცდაშვიდი –

რიცხვი ოცდათექვსმეტი – ოცი, ათი, ექვს მეტი;
რიცხვი ოცდაჩვიდმეტი –

სამჯერ ათი ოცდაათი – ოცია და ერთი ათი;
რა რიცხვია ოცდაცხრა – ორი

4. კანონი

Lined writing area for the text of the law.

4. ჩაწერე, რომელი ასო რად გადაიქცეოდა:

თუ შ-ს ცხვირი მოტყდება, გახდება _____ ,

თუ რ-ს ყუნწი მოძვრება, გახდება _____ ,

თუ ზ-ს ზედა ბურთი მოტყდება, გახდება _____ ,

თუ ვ-ს ცხვირი მოტყდება, გახდება _____ ,

თუ პ-ს თავი მოსწყდება, გახდება _____ ,

თუ ლ-ს ერთი კბილი მოძვრება, გახდება _____ ,

5. ჩაწერე:

სად უნდა იყოს ვ? სად უნდა იყოს კ?

მწყემსმა ერთი _____ აცი დაკარგა.

გზაზე ორი _____ აცი საუბრობდა.

ბაბუამ _____ ირს ხურჯინი გადაჰკიდა.

_____ ირს ჭერის შესათეთრებლად იყენებენ.

სად უნდა იყოს ლ? სად უნდა იყოს ღ?

სა_____ ი კლდის პირას ჯიხვი იდგა.

დიდედამ სა_____ ი ვაშლები გადაარჩია.

_____ ომს ბოკვერი შეეძინა.

ნიკა _____ ომს მიირთმევს.

მოკლე შინაარსის რუკა

გაიხსენე მოთხრობის სათაური.	„დახუჭობანა“.
რას გვიყვება მოთხრობა?	როგორ თამაშობენ დახუჭობანას.
განსაზღვრე მოქმედების თანმიმდევრობა.	რა ხდება დასაწყისში? რა ხდება მერე? ბოლოს რა მოხდა?
ამოწერე მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები – ამბის დასაწყისიდან, ამბის შუა ნაწილიდან, ამბის ბოლოდან.	
ამ სიტყვების გათვალისწინებით გვიამბე მოკლე შინაარსი:	
სახელმძღვანელოში წაიკითხე რუბრიკა „დაიმახსოვრე“. განსაზღვრე, რა დააკელი მოკლე შინაარსს და რა იყო ზედმეტი; კლასში განიხილეთ შეცდომები.	

თოჯინა

1. რას რითი ვაკეთებთ? შეაერთე ხაზებით:

ვკერავთ	სავარცხლით	ვაჭედებთ	ცოცხით
ვვარცხნით	საშლელით	ვწერთ	მაკრატლით
ვხერხავთ	ნემსით	ვჭრით	კალმით
ვშლით	ხერხით	ვგვით	ჩაქუჩით

2. გადახაზე, რა არ გამოუყენებია სოფოს თოჯინას კეთებისას:
ჯოხები, დილი, ლურსმანი, მატყლი, ნაჭერი, ჭიკარტი.

3. გაიხსენე მოთხრობა და უპასუხე კითხვებს: როგორი კაბა ეცვა თოჯინას? როგორი თმები ჰქონდა?

Handwriting practice area with blue horizontal lines.

4. ახსენი გამონათქვამები.

გამონათქვამი	განმარტება
ფქვილის ზვინი.	
თითქოს დევის ღიბი იყოს, ცომი ამოფუვდა.	
ცხელ თონეში ჩავაკარი სამოცამდე პური.	

4. რა რას შევადაროთ? შეაერთე ხაზებით და დაასრულე წინადადებები.

ილიმება დედა	მელასავით
გოგოს გაბადრული სახე ჰქონდა	შურდულივით
მდინარე იორი ლაპლაპებდა	სავსე მთვარესავით
ქოსატყუილა გაიპარა	როგორც გაზაფხული
შეშინებული ბიჭი გარეთ გავარდა	როგორც ომში ამოწვდილი ხმალი

4. პერსონაჟის რუკა.

დავახასიათოთ თომა	
თომა ამბობს	თომა აკეთებს
როგორია თომა? შექმენით სიტყვათა ბანკი:	
მეოცნებე	
ვიმსჯელოთ თომას შესახებ	
რაზე ოცნებობს და რას აკეთებს ოცნების ასახდენად?	
ვინ არიან მისი მეგობრები და ვისი იმედი აქვს?	
ყველა რატომ ეთანხმება?	
რა თვისებები აქვს და საიდან ჩანს?	

5. იდეების რუკა.

ვიდრე ქალაქს დახატავდეთ, გაითვალისწინეთ და ჩამოწერეთ რა დასჭირდება თქვენს ქალაქს!	
დაცვა	ქალაქის ჭიშკარი, რომელსაც კეთილი ჯუჯები დაიცავენ, რადგან მათ ამის გამოცდილება აქვთ.
წესები და აკრძალვები	
ტრანსპორტი	
სწავლა	
გართობა	
მაღაზიები	
სტუმრები	

ფეფო

1. შეადგინე წინადადებები. შეაერთე ხაზებით:

წვიმა რომ არ მოდიოდეს

დედისერთა ვიქნებოდი

სკოლაში რომ არ დავდიოდე

ყველაფერი გახმებოდა

და-ძმები რომ არ მყავდეს

უცოდინარი ვიქნებოდი

2. დააღაგე შინაარსის თანმიმდევრობით, მიუწერე შესაბამისი ნომრები:

- შემდეგ ნემსი მოიმარჯვა და კაბას გვერდები გაუკერა.
- თინიკომ თოჯინისათვის კაბის შეკერვა გადაწყვიტა.
- ბოლოს თინიკომ თოჯინა ახალ კაბაში გამოაწყო.
- ჯერ ლამაზი ნაჭრისგან კაბა გამოჭრა.

3. ჩამოთვლილი სიტყვებიდან შეარჩიე რამდენიმე სიტყვა, დაახასიათე შენი თავი:

ბეჯითი, წესიერი, ზარმაცი, მოწესრიგებული, მხიარული, სერიოზული, სასაცილო, ლამაზი, მაღალი, ჩვეულებრივი, ცელქი.

მე ვაჩ

4. დავადგინოთ ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა:

სიტყვა	ჩემი განმარტება	სიტყვის მნიშვნელობა ტექსტის მიხედვით
შობასგადარჩენილი		
დაგვიდის		
გაფუყული		
უგერგილო		
დაიჭორფლები		

როგორ არის განმარტებული ეს სიტყვები „სიტყვის სკივრში“?

5. ფეფოს შინაური ცხოველებიდან, რომელი როგორია, შეაერთე ხაზებით:

ხელი აქვს ჩაქნეული

ბოქა

შინაურს და გარეულს ვერ არჩევს

კუდა

სიყვარულით სავსე თვალებით გიყურებთ

ქაბატო

სიბერით არ დაიწუნება


ფუყა

ერთი და შვიდი

1. რას მიგვანიშნებს სათაური და ილუსტრაცია?
ვარაუდების ღრუბელი

სურათის მიხედვით
ვვარაუდობ, რომ...

სათაურის მიხედვით
ვვარაუდობ, რომ...



კითხვა	ვარაუდი
რას გეუბნებათ სა- თაური და ილუს- ტრაცია?	
როგორ დავაკავ- შიროთ სათაური ილუსტრაციასთან?	
შენი აზრით, ვინ არიან ისინი?	
გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი?	

2. რა აერთიანებთ მსოფლიოს ბავშვებს? შემოხაზე სწორი პასუხები:

1. ყველანი ერთი სიმაღლისანი არიან.
2. ბავშვებს უყვართ თამაში.
3. ყველას ერთნაირი კანის ფერი აქვს.
4. ბავშვებს უყვართ სიცილი და მხიარულება.
5. ყველანი ერთ ენაზე საუბრობენ.

მაუგლი

1. რა როგორ ხმინობს? შეაერთე ხაზებით:

მგელი	სისინებს
ვეფხვი	ყმუის
გველი	ღრიალებს
ძერა	კივის
ტურა	წივის

2. საკვანძო კითხვების რუკა

ბალუს რა მიაჩნია ფიზიკურ სიძლიერეზე მნიშვნელოვნად? რისი სწავლება დაუწყო მან მაუგლის?	
რას გვეუბნება ტყისა და წყლის კანონი? როგორ უნდა მოექცე ყველა ცოცხალ არსებას?	
რა იყო ჯუნგლის კანონში ყველაზე მთავარი ფრაზა, რომელიც მაუგლიმ ბუნების ყველა ენაზე იცოდა?	
რას ნიშნავს, ჩვენ, მე და შენ, ერთი სისხლისანი ვართ?	
რატომ ველარაფერი ვერ დაემუქრებოდა მაუგლის?	
რას გვასწავლის ეს ნაწარმოები?	

გაზაფხული

1. რა რას ნიშნავს? შეაერთე ხაზებით:

რუ

იქვე

ღელე

შეფერება

ეკადრება

წყალი, ხევში რომ მოედინება

ახლომახლო

პატარა ნაკადული

2. მოქმედების გამომხატველ სიტყვებს ქვეშ ხაზი გაუსვი:

ტყის გზას გავუყვებ. მზე ანათებს. თოვლის ქვეშიდან რუები გამო-
დიან და ღელეში ჩარბიან. ახლომახლო გაზაფხული ტრიალებს და
საცაა მოვა.

3. კარნახი

A large rectangular box with a blue border and a pink header. The header contains the text '3. კარნახი'. Below the header, there are approximately 20 horizontal blue lines for writing.

4. წინადადებების ბოლოს დასვი სათანადო სასვენი ნიშნები:

დედამ ბავშვები ზოოპარკში წაიყვანა მათ უამრავი ცხოველი ნახეს.

- ეს რა ჩიტია
- ეს სირაქლემაა
- რა დიდი ჩიტია – გაუკვირდა კატოს.
- როგორ დაფრინავს ამხელა ჩიტი – იკითხა ვანომ.
- სირაქლემა არ დაფრინავს – წამოიძახეს ბავშვებმა.

5. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი. მხოლოდობითში დასმულ სიტყვის ქვეშ ერთი ხაზი გაუსვი, მრავლობითს – ორი:

მაგალითად: მარიამს მეგობრებმა აჩუქეს თოჯინა.

ჩვენს აივანზე მერცხალმა ბუდე გაიკეთა და პატარა კვერცხები დადო. მალე ბარტყები დაიჩეკნენ. კატომ თავისი ახალი მეზობლების სანახავად მეგობარი მოიყვანა.

6. 2-3 წინადადებით გადმოეცი „როგორ გავატარებ ზაფხულს“:

Handwriting practice area with blue lines.

საქართველო

რომელი კუთხის მცხოვრები როგორ იწოდება?
შეაერთე ხაზებით:

ქართლი	თუში
ხევსურეთი	ჯავახი
მთიულეთი	ქართლელი
ჯავახეთი	ხევსური
თუშეთი	კახელი
რაჭა	მთიული
კახეთი	მეგრელი
სამეგრელო	რაჭველი
ხევი	მესხი
ფშავი	აჭარელი
მესხეთი	მოხევე
იმერეთი	ლექსუმელი
აჭარა	ფშაველი
ლექსუმი	აფხაზი
გურია	იმერელი
სვანეთი	გურული
აფხაზეთი	სვანი

